BGA ROAR

NEWSLETTER BY British–Georgian Academy

ძვირფასო მშობლებო

მოხარული ვარ, რომ ახალი სასწავლო წლის დასაწყისს აქ, ბრიტანულ-ქართულ აკადემიაში ვხვდები. პირველი კვირა არაჩვეულებრივი იყო: მოსწავლეები ზაფხულის არდადეგებიდან დაბრუნდნენ და ჩვენი კამპუსიც სიცოცხლით აივსო. ამ კვირის განმავლობაში ბრიტანულ-ქართული აკადემიის მოსწავლეების უმრავლესობის გაცნობა მოვასწარი და მომავალშიც აქტიურად გავაგრძელებ მათ გაკვეთილებზე სტუმრობას. აღფრთოვანებული ვარ ბრიტანულ-ქართული აკადემიის ხელმძღვანელი რგოლისა და აკადემიური გუნდის თითოეული წევრის მიერ გაწეული შრომით, რომელიც მოსწავლეთა მაქსიმალურ აკადემიურ პროგრესსა და პასტორალურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს.

ბრიტანულ-ქართულ აკადემიაში ჩვენი მიზანია, მოსწავლეებმა თავად აიღონ პასუხისმგებლობა განათლების პროცესზე და მიიღონ გააზრებული გადაწყვეტილებები, რომლებიც ოცდამეერთე საუკუნის გამოწვევებისათვის მოამზადებთ. ჩვენ ვესწრაფვით სრულყოფილებას როგორც საკლასო სივრცეში, ასევე მის გარეთ. გვინდა, რომ ჩვენს მოსწავლეებს განვუვითაროთ ისეთი თვისებები, როგორებიცაა: ცნობისმოყვარეობა, შეუპოვრობა, დამოუკიდებლობა, თავმდაბლობა და სიკეთე.

რა თქმა უნდა, ვამაყობთ ბრიტანულ-ქართული აკადემიის როლით განათლების სფეროში და სრულად ვაცნობიერებთ პასუხისმგებლობას მოსწავლეების, მშობლებისა და ოჯახების წინაშე. გთხოვთ, მყისიერად დაგვიკავშირდით, თუ ჩვენი დახმარება დაგჭირდებათ.

მაკა ბარამიძე,
აკადემიური დირექტორი

შეხვედრები დაწყებითი საფეხურის აკადემიურ გუნდთან

სასწავლო წლის დაწყებამდე, 29 აგვისტოს შესაძლებლობა მოგვეცა, სამუშაო შეხვედრაზე დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების მშობლებთან ერთად გავცნობოდით ამ წლისთვის დასახულ აკადემიურ მიზნებსა და მათ მისაღწევად განსაზღვრულ სტრატეგიებს. მშობლების მიერ დასმულ კითხვებს სკოლის აკადემიურმა დირექტორმა, კლასის მენტორებმა, მხარდამჭერმა მასწავლებლებმა და სკოლის კათედრის ხელმძღვანელებმა უპასუხეს. დიდი მადლობა ყველას, ვინც შეხვედრას დაესწრო. თქვენი ჩართულობა აკადემიურ პროცესებში უზომოდ მნიშვნელოვანია.

0 და 1- ელი კლასების საზეიმო მიღება

0 და პირველი კლასის მოსწავლეების პირველი დღე ბრიტანულ-ქართულ აკადემიაში ემოციური და ამაღელვებელი იყო. მოსწავლეები დიდი ინტერესით შეხვდნენ პირველივე გაკვეთილს და ახალ მასწავლებლებსაც მალევე დაუმეგობრდნენ. ჩვენი გამოცდილი მოსწავლეები ახალ მოსწავლეებს სიხარულით ეხმარებოდნენ სკოლის შენობისა თუ სწავლების თავისებურებების გაცნობაში.

2024 წლის კურსდამთავრებულების წარმატება IB გამოცდებში

ამ ზაფხულს ჩვენი IB სადიპლომო პროგრამის კურსდამთავრებულების პირველმა ნაკადმა ჩააბარა გამოცდები. სიამაყით გიზიარებთ შედეგებს:

სკოლის საშუალო ქულა: 33 (საშუალო ქულა მსოფლიოში 30)
გამოცდების გადალახვის მაჩვენებელი სკოლისათვის: 96% (მსოფლიო მაჩვენებელი — 80%)

ეს შედეგები გვარწმუნებს, რომ მიუხედავად IB სადიპლომო პროგრამის მკაცრი მოთხოვნებისა, ჩვენს მოსწავლეებს ნამდვილად შეუძლიათ თავის წარმოჩენა მსოფლიო ასპარეზზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია იმ კურსდამთავრებულების ძალისხმევა, რომელთაც მაქსიმალური 45 ქულიდან 40 და 41 ქულები მიიღეს, რასაც მსოფლიოს მასშტაბით IB სტუდენტების მხოლოდ 10% ახერხებს. IB გამოცდებში მონაწილეობის პირველივე წელს ასეთი შედეგების მიღება რეგიონში არსებული გამოცდილი IB სკოლების გვერდით გვათავსებს. ეს მხოლოდ დასაწყისია და გვჯერა, რომ მომავალში ამ მაჩვენებლებს კიდევ უფრო გავაუმჯობესებთ.

სკოლის ფორმები

მომდევნო კვირების მანძილზე სკოლის ფორმების საკითხი ჩვენთვის პრიორიტეტული იქნება. გთხოვთ, გაეცნოთ ბრიტანულ-ქართული აკადემიის პოლიტიკას სასკოლო ფორმებთან დაკავშირებით და დარწმუნდეთ, რომ ამ ნაწილში მოსწავლეების მიმართ BGA-ის მოლოდინი თქვენთვის სრულიად ცხადია. ფორმის ტარება ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების მიმართ მიკუთვნებულობის შეგრძნების ჩამოყალიბებას. სკოლის გარემოსთვის შესაბამისი სამოსის შერჩევა ერთ-ერთი პირველი გადაწყვეტილებაა, რომელსაც მოსწავლე დღის განმავლობაში იღებს და ამ არჩევანით ის ყველას მიანიშნებს, რომ იზიარებს ბრიტანულ-ქართული აკადემიის ღირებულებებს. გვჯერა, რომ მხარს დაგვიჭერთ, რათა ჩვენი ყველა მოსწავლე სკოლაში სათანადო ფორმით გამოცხადდეს.

MATILDA THE MUSICAL JR

სიხარულით გაცნობებთ, რომ ბრიტანულ-ქართულმა აკადემიამ მუსიკის საერთაშორისო თეატრისაგან ახალი მიუზიკლის დადგმის ლიცენზია მოიპოვა: Matilda The Musical Jr ცნობილი სრულმეტრაჟიანი მიუზიკლის მოსწავლეებისათვის ადაპტირებულ ვერსიას წარმოადგენს. მიუზიკლს მოპოვებული აქვს 7 ოლივიეს ჯილდო (ლონდონის თეატრის საზოგადოების ჯილდო ლონდონის პროფესიულ თეატრში წარმატებისათვის) და 5 ტონი (ამერიკული თეატრის ფრთის ჯილდო ბროდვეის ლიგაში წარმატებისათვის). ეს პირველი შემთხვევაა, როცა ამ მიუზიკლის დადგმის უფლება ბრიტანეთს გარეთ არსებულმა სასკოლო თეატრმა მოიპოვა.

როალდ დალის Matilda The Musical Jr-ის ყველა მასალა მოწოდებულია მსოფლიოში თეატრალური ლიცენზირების წამყვანი სააგენტოს, Music Theatre International-ის მიერ. კასტინგზე დასარეგისტრირებლად მიჰყევით ბმულს.



სამანქანო მოძრაობის შესახებ

ჩვენ მუდმივად ვაკვირდებით სკოლის მიმართულებით მანქანების ნაკადის მოძრაობას, რათა მოსწავლეების სკოლაში მოყვანა და სკოლიდან გაყვანა მაქსიმალურად შეუფერხებლად წარიმართოს. ბოლო პერიოდში საგზაო მარშრუტებთან დაკავშირებით გარკვეული ცვლილებები განვახორციელეთ, რამაც ეს პროცესები გააუმჯობესა. ჩვენი მეზობელი სკოლები მომავალ კვირას გაიხსნება, რაც იმას ნიშნავს, რომ ახლომდებარე ტერიტორიაზე მოძრაობა კიდევ უფრო დაიტვირთება. ჩვენ მომავალშიც გავაგრძელებთ მანქანების მიმოსვლის აქტიურ მონიტორინგსა და ეფექტური რეკომენდაციების შემუშავებას უსაფრთხოების ჯგუფთან ერთად.

სანამ მკაფიო ვიზუალურ ინსტრუქციებს გაგიზიარებდეთ, გვინდა, რამდენიმე პუნქტის გათვალისწინება გთხოვოთ:

» შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველსაყოფად ყოველთვის გამოიყენეთ მოსწავლეების სკოლის ტერიტორიაზე შესაყვანად და გამოსაყვანად მონიშნული ზონები;

» დაემორჩილეთ სიჩქარის შეზღუდვას და გამოიჩინეთ მოთმინება სხვა მძღოლების მიმართ;

» ფეხით მოძრაობისას გზის გადასაკვეთად გამოიყენეთ სპეციალურად მონიშნული გადასასვლელი, მანქანაში ყოფნისას ყოველთვის დაუთმეთ გზა გადასასვლელით მოსარგებლე ქვეითებს;

» ავტომანქანა მხოლოდ პარკინგისთვის გამოყოფილ ზონაში გააჩერეთ;

» და ბოლოს, ყოველთვის გაითვალისწინეთ უსაფრთხოების პერსონალის მითითებები. ისინი მოსწავლეების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით მოქმედებენ.

როცა მოსწავლე სკოლას აცდენს — ინსტრუქცია

გვსურს შეგახსენოთ, რომ მოსწავლის მიერ სკოლის გაცდენის შემთხვევაში აუცილებელია სკოლის ადმინისტრაციას დროულად დაუკავშირდეთ. დროული კომუნიკაცია შესაძლებლობას გვაძლევს, მოსწავლეთა დასწრების მონიტორინგი შეუფერხებლად წარვმართოთ.

ბაღისა და დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების მშობლებისათვის:

» გაცდენის შესახებ შეატყობინეთ ადმინისტრაციას არაუგვიანეს დილის 8:00 საათისა.

» მოგვწერეთ attendance@bga.ge-ზე მოსწავლის სახელი, გვარი, კლასი და გაცდენის მიზეზი.

» დამატებით შეატყობინეთ გაცდენის შესახებ მხარდამჭერ მასწავლებელს თქვენი შვილის კლასისთვის გამოყოფილ ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნით. მიუთითეთ თქვენი შვილის სახელი, გვარი და კლასი.

საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეების მშობლებისათვის:

» გაცდენის შესახებ შეატყობინეთ ადმინისტრაციას არაუგვიანეს დილის 8:00 საათისა.

» მოგვწერეთ ელექტრონულ მისამართზე attendance@bga.ge მოსწავლის სახელი, გვარი, კლასი და გაცდენის მიზეზი. ეს დაგვეხმარება უზრუნველვყოთ ჩვენი მოსწავლეების უსაფრთხოება და კეთილდღეობა.

თუ თქვენი შვილი სარგებლობს ლანჩის სერვისით:

თუ გაცდენის შესახებ შეგვატყობინებთ არაუგვიანეს 08:00-ისა, მოსწავლისთვის აღარ დამზადდება საკვები და შესაბამისად, გაცდენილი დღის კვების საფასური მოსწავლის ანგარიშიდან არ დაიქვითება. სხვა შემთხვევაში არჩეული კვების სერვისის დღიური თანხა ავტომატურად ჩამოიჭრება. კითხვების შემთხვევაში, გთხოვთ დაგვიკავშრდეთ ელ.ფოსტაზე bga@bga.ge

საბაზო/საშუალო საფეხურის კლასგარეშე აქტივობები

შეგახსენებთ, რომ ბრიტანულ-ქართული აკადემიის საბაზო / საშუალო საფეხურზე კლასგარეშე აქტივობები მომავალი კვირიდან, 9 სექტემბრიდან განახლდება.

კლუბების განრიგს ორი ახალი კლუბი დაემატა. კლუბზე რეგისტრაციის სურვილის შემთხვევაში, გთხოვთ დააკლიკოთ კლუბის სახელწოდებას, რომელიც მოკლე კითხვარზე გადაგიყვანთ.

»მე-6, მე-7 და მე-8 კლასებისთვის - Fun Games (in Russian);

»სადიპლომო პროგრამის სტუდენტებისთვის - Running Club

მაღალი მომართვიანობის გამო კლუბების განრიგში შეიცვალა რამდენიმე კლუბის ჩატარების დღე

კლუბი	კლასები	ძველი დრო	განახლებული დრო
SPORTS ENTERTAINMENT	მე-6, მე-7 და მე-8	ოთხშაბათი, 15:35	ხუთშაბათი, 15:35
ჩოგბურთის კლუბი	მე-9-მე-12	ორშაბათი, 15:35	პარასკევი, 15:35
საერთაშორისო ურთიერთობების კლუბი	მე-9-მე-12	პარასკევი, 15:35	ხუთშაბათი, 15:35

გვსურს შეგახსენოთ, რომ სკოლაში კლასგარეშე აქტივობების გარდა ფუნქციონირებს როგორც სკოლის გუნდები სპორტის სხვადასხვა სახეობაში (ფეხბურთი, ხელბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი), ასევე Lions Academy-ის ფასიანი კლუბები. შესაბამისად, თვალსაჩინოებისა და სიცხადისთვის სამივე ცხრილს ერთ დოკუმენტად გაგიზიარებთ.